

მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელების პროცესში

„ევროპული მიღწევების ხელახალი ფორმირება მწვანე ლიდერობისკენ სათათბირო მიდგომებისა და სწავლების გზით“ (REAL DEAL) არის ახლახან დაწყებული კვლევითი პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ჰორიზონტი 2020 კვლევისა და ინოვაციების პროგრამის მიერ. პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას ევროპის მწვანე შეთანხმების (EGD) პროცესში.

პროექტი ეყრდნობა პან-ევროპული საზოგადოების სათათბირო პროცესების უახლეს გამოცდილებას, როგორცაა კონფერენცია ევროპის მომავლის შესახებ. კვლევის მთავარი მიზანია მოქალაქეთა ინოვაციური მონაწილეობისა და განხილვის ინსტრუმენტების, ფორმატებისა და პროცესების ანალიზი, დატესტვა და დადასტურება. კვლევის პარტნიორებმა დაიწყეს ევროპულ და ადგილობრივ დონეზე სათათბირო გადაწყვეტილების მიღების კონცეპტუალური საფუძვლების ჩამოყალიბება მომავალი პროტოკოლისთვის ევროპის მწვანე შეთანხმების კონტექსტში. ამას მოჰყვება ინოვაციური სათათბირო ფორმატებისა და ხელსაწყოების ტესტირება და დადასტურება ცამეტ (13) ქვეყანაში, ისევე როგორც ევროკავშირის დონეზე, ჰიბრიდული და ფიზიკური მოვლენებისა და პროცესების ჩათვლით.

დარეგისტრირდით და შეუერთდით #RealDealEU საზოგადოებას

პარალელურად, პროექტის პარტნიორებმა დაიწყეს დაინტერესებული მხარეების პან-ევროპული ქსელის იდენტიფიცირება და მობილიზება, სადაც 500-ზე მეტი ორგანიზაცია მუშაობს ევროპის მასშტაბით სათათბირო დემოკრატიისა და კლიმატის ცვლილებების სფეროებში. ამ დაინტერესებულ მხარეთა ქსელის პირველი შეხვედრა გაიმართა 9 ივნისს ბრიუსელში (ბელგია) ფორუმის ”სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი მდგრადობისთვის: ევროპის მწვანე შეთანხმების ჩამოყალიბება“ ფარგლებში.

პროექტს აქვს ტრანსდისციპლინარული მიდგომა: დაწყებული წინადადების განხილვიდან კვლევის კითხვების დაზუსტებამდე და დამთავრებული სამუშაო ჯგუფის მიერ სამუშაოს სტრუქტურის განსაზღვრითა და შიდა განხილვით, ყველაფერი კეთდება მკვლევართა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობით. პროექტი ითვალისწინებს მოქალაქეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას ევროპელთა საზოგადოების შექმნის მიზნით. იხილეთ

ციფრული ჰაბის ვებ გვერდი, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ ჩაერთონ და მიიღონ ზომები : www.realdeal.eu

კვლევის მიზნებისა და მოქალაქეებზე მორგებული აქტივობების განსახორციელებლად პროექტი აერთიანებს 16 (თექვსმეტ) პარტნიორს, მათ შორის სათათბირო დემოკრატიის მკვლევრებს და ევროპის უმსხვილეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (CSOs).

პროექტს ერთობლივად კოორდინაციას უწევს "მდგრადი განვითარების კვლევითი ინსტიტუტი" (IASS) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია "ევროპის გარემოსდაცვითი ბიურო" (EEB).

კვლევითი პროექტი (REAL DEAL) მოიცავს:

- სათათბირო დემოკრატიის მკვლევრებისა და პრაქტიკოსების ჩართულობას სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის მდგრადობის კვლევებს, მონაწილეობით დემოკრატიას, გარემოსდაცვით უფლებებსა და საზოგადოების მონაწილეობის კანონს, ეთიკას და პასუხისმგებელ ინოვაციებს, გენდერულ კვლევებს და ეკოფემინიზმს, ფსიქოლოგიას, გეოგრაფიას, ურბანულ დაგეგმარებას.
- ევროპის უმსხვილესი სამოქალაქო საზოგადოების ქსელებს, რომლებიც მხარს უჭერენ გარემოს, კლიმატს, მდგრად განვითარებას, ქალთა უფლებებს, ადგილობრივ და ევროპულ დემოკრატიას და ახალგაზრდულ გარემოსდაცვით ორგანიზაციას.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია მოუთმენლად ელის პროექტის განხორციელებას, თანაც ხელს უწყობს აქტიურ მონაწილეობას მწვანე გარდაქმნის პროცესში!